



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

შემფასებელი კომისიის შეხვედრა

თარიღი: 2 ივლისი, 2020 წელი

დრო: 11:30 -12:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
3. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

2 ივლისს გაიმართა შემფასებელი კომისიის შეხვედრა, რომელმაც განიხილა პროგრამული მხარდაჭერის ფარგლებში შემოსული საპროექტო განაცხადები.

კომისიის შეხვედრაზე იმსჯელეს საპროექტო განაცხადების დაფინანსების საკითხზე. ამ ეტაპამდე, კომისიის, არაერთი შეხვედრა გაიმართა და საპროექტო განაცხადების ძირითად აპლიკანტებს მიეცათ სხვადასხვა სახის რეკომენდაციები.

შემფასებელმა კომისიამ მიიღო საბოლოო გააღწვევტილებები საპროექტო განაცხადების დაფინანსების საკითხზე. შემოსული 7 საპროექტო განაცხადიდან დადებითად შეფასდა და დაფინანსდა 4 განაცხადი. კერძოდ:

1. ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
2. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
3. საერთაშორისო ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
4. ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სამდივნოს მოთხოვნის შესაბამისად (ევროკომისიის მიერ შემუშავებული მოთხოვნების საფუძველზე) პროგრამული მხარდაჭერის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების, საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელ თითოეულ ექსპერტთან (მთავარი განმახორციელებელი და თანა-აპლიკანტი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან) გაფორმდება მომსახურების ხელშეკრულებები.

დაფინანსებული პროექტების განმახორციელებელი ფიზიკური პირებისთვის გადარიცხვების განხორციელება მოხდება 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე, თითოეულ ფიზიკურ პირს, გადაერიცხება თანხის 30% ავანსის სახით, ხოლო დარჩენილი 70% გადაერიცხება პროექტების დასრულებისა და საბოლოო პროდუქტების მიღების შემდეგ.

პროგრამული მხარდაჭერის მეორე ეტაპი გამოცხადდება უახლოეს მომავალში.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე